ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 9

12 ივნისი, 2018 წელი. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

15:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ეკატერინე მაძღარაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი - თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა** (წერილი: № 12-031815226-03; 01.06.2018).

   მომხსენებელი: ეკატერინე მაძღარაშვილი
   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქალბატონმა ეკატერინე მაძღარაშვილმა, იგი მიესალმა სხდომაზე დამსწრეთ და განმარტა, რომ ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შემუშავების მიზეზია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები. კერძოდ, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს გამოეყო გარკვეული ფუნქციები და იგი გადაეცა ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, რომლის ძირითადი პროგრამატივაა თბილისის ურბანული განვითარება, ქალაქთმშენებლობითი ხედვის ჩამოყალიბება, შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვა და ა.შ. თბილისის მერიაში მომქმედი კულტურული მემკვიდრეობის საბჭო დაკომპლექტებულია თბილისის მერიისა და საკრებულოს, აგრეთვე კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებისაგან და განიხილავს იმ საკითხებსაც, რომელიც აგრეთვე ეხება მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის ფუნქციებს.

ქალბატონი ეკატერინეს განმარტებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში მიმდინარე სამშენებლო საქმიანობა ფაქიზი საკითხია. ხშირად ხორციელდება არსებული ურბანული ქსოვილის შევსება ან ახალი მშენებლობის დაგეგმარება, რომლებიც მაქსიმალურად თანხვედრაში უნდა იყვნენ არსებულ გარემოსთან. აქედან გამომდინარე, თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის მიერ თბილისის მერიის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოსათვის საკითხების წარდგენა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას.

კომისიის წევრი ბატონი ერეკლე კუხიანიძე დაინტერესდა, თუ როგორ აისახა წარმოდგენილი ცვლილება ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში.

სხდომის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ქეთევან ჯოხაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციამ განაპირობა.

კომისიის სამდივნოს უფროსმა, ბატონმა ირაკლი მხეიძემ დამსწრეთ განუმარტა, რომ პროექტის შესაბამისად, თბილისის მერიის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს დებულების მე-7 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3 პრიმა პუნქტი:

,,3[1]. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმოებაში არსებული და საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების საბჭოზე წარდგენას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.''

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ქეთევან ჯოხაძემ, ეკატერინე მაძღარაშვილმა, ერეკლე კუხიანიძემ, ირაკლი მხეიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსათვის განსახილველად გაცადემის შესახებ.

მომხრე -------- 5
წინააღმდეგი ------- 0
თავი შეიკავა ------- 0

კომისიამ განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ:

განათლებისა და კულტურის კომისიას არ აქვს არსებითი სახის შენიშვნები და რეკომენდაციები აღნიშნული დადგენილების პროექტის მიმართ, დადებითად აფასებს მას და მხარს უჭერს მის გატანას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
ქეთევან ჯოხაძე